მაგდა თხილავა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
Magda.txilava @atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.39

ზაქარია ფალიაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა და საკომპოზიტორო შემოქმედება

ქართული საკომპოზიტორო სკოლა სათავეს იღებს XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში გენიალური ზაქარია ფალიაშვილის და მისი თანამედროვეების მელიტონ ბალანჩივაძის, ვიქტორ დოლიძისა და დიმიტრი არაყიშვილის სახით. აღნიშნული კომპოზიტორები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ ინდივიდუალური მუსიკალური და შემოქმედებითი თავისებურებებით, თუმცა მათ აერთიანებდათ ეროვნული სამუსიკო ხელოვნების განვითარების, ხალხური სიმღერების შეკრების, შესწავლისა და დამუშავების დიდი ინტერესი.

ზაქარია ფალიაშვილი გამორჩეული ფიგურაა ქართული მუსიკის ისტორიაში, რომლის შემოქმედებას საფუძვლად უდევს ქართული სამუსიკო ფოლკლორი. ის ითვლება ქართული კლასიკური ოპერის ფუძემდებლად. ზ. ფალიაშვილი ავტორია სამი განსხვავებული ტიპის ოპერისა: მონუმენტური ოპერა-ტრაგედია – „აბესალომ და ეთერი“, ლირიკულ-დრამატული ოპერა – „დაისი“, გმირულ-პატრიოტული ოპერა – „ლატავრა“.

ზაქარია ფალიაშვილი საკომპოზიტორო მუშაობას შესანიშნავად უთავსებდა პედაგოგობას, ექსპედიციებში წარმატებულ მოგზაურობას, საზოგადოებრივ საქმიანობას, საშემსრულებლო მოღვაწეობას...

ზაქარია ფალიაშვილმა, ჯერ კიდევ მოსკოვის კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში, ჩამოაყალიბა ქართველ სტუდენტთა გუნდი და მართავდა ქართული მუსიკის საღამოებს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, მან თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში დაიწყო აქტიური პედაგოგიური მუშაობა. ის ხელმძღვანელობდა მოსწავლეთა გუნდსა და ორკესტრს, იყო გალობის პედაგოგი. ზაქარიას, როგორც პედაგოგს, იცნობდნენ მკაცრსა და უკომპრომისოს. ქართველ კომპოზიტორთა და მუსიკისმცოდნეთა დიდი ნაწილი ქართულ მუსიკალურ ხელოვნებასა და კლასიკურ განათლებას ზაქარია ფალიაშვილთან მეცადინეობისას გაეცნო. ფალიაშვილის აღზრდილებმა დიდი როლი შესრულეს ქართული კლასიკური მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში. ესენი იყვნენ: იონა ტუსკუა, გრიგოლ კილაძე, აკაკი ანდრიაშვილი, გრიგოლ ჩხიკვაძე, შალვა ასლანიშვილი, მევიოლინე – ლუარსაბ იაშვილი... ზაქარია ფალიაშვილი იყო სამუსიკო სასწავლებლის თეორიული საგნების წარმატებული პედაგოგი, ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა თბილისის კონსერვატორიაში, 1919 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება, სხვადასხვა დროს იყო კონსერვატორიის დირექტორი. ზაქარია ფალიაშვილმა დააარსა ფილარმონიულ საზოგადოებასთან არსებული სამუსიკო სკოლა, სადაც თვითონ ხელმძღვანელობდა ბავშვთა გუნდსა და ორკესტრს.

ზაქარია ფალიაშვილმა ფოლკლორული ექსპედიციები ჩაატარა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ფონოგრაფზე ჩაიწერა სიმღერების უიშვიათესი ნიმუშები. მან

გუნდისა და ორკესტრისთვის დაამუშავა მის მიერვე ჩაწერილი სიმღერები, რომლებსაც შემდგომ იყენებდა საკონცერტო პროგრამებში. ფალიაშვილის გუნდში მღეროდა მისივე მეგობრის, უკრაინელი პოეტის - ლესია უკრაინკას ქმარი – კლიმენტ კვიტკა.

საქართველოს ეკლესიამ, რუსეთთან შეერთების შემდეგ, დაკარგა ავტოკეფალია, რამაც ქართული გალობის საკითხი საფრთხის ქვეშ დააყენა. ქართველი მღვდელმსახურების თაოსნობით, იპოლიტოვ ივანოვის მიერ შედგა ქართული გალობის კრებული, რომლის საფუძველზეც ზაქარია ფალიაშვილმა გამოსცა კრებული - „22 ქართული საეკლესიო საგალობელი“.

ზაქარია ფალიაშვილი იყო ია კარგარეთელის ინიციატივით შექმნილი - „ქართულ ენაზე ოპერების გამმართველი საზოგადოების“ წევრი. ამ საზოგადოების მეშვეობით პირველად აჟღერდა თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე ქართულად ნათარგმნი ოპერები, რომლებსაც ზაქარია ფალიაშვილი და ნიკოლოზ ქართველიშვილი დირიჟორობდნენ.

საინტერესოა ფალიაშვილის სარომანსო შემოქმედება: „ნუ თვალთმაქცობ“, „რისთვის მიყვარხარ“, „სინანული“, „ნანა“, „მიყვარდა“, „ნანა შვილო“, „ახალ აღნაგო სულო“. რომანსები - „ნანა შვილო“, „ახალ აღნაგო სულო“ ფალიაშვილმა თავის უახლოეს მეგობარს - ივანე ჯავახიშვილს მიუძღვნა. მან დაწერა მუსიკა ფილმისთვის „დინა ძაძუ“ (რეჟ. ჟელიაბუნსკი). ფალიაშვილი ავტორია „საზეიმო კანტატისა“ ს. შანშიაშვილის ტექსტზე, რომელიც მიუძღვნა რევოლუციის ათი წლისთავს. მას ეკუთვნის საორკესტრო სუიტა და საგუნდო ნაწარმოებები.

ლიბრეტისტმა პეტრე მირიანაშვილმა ოპერის - „აბესალომ და ეთერის“ დაწერა შესთავაზა ზაქარია ფალიაშვილს, რომლის საფუძველს წარმოადგენდა ხალხური ზღაპარი – „ეთერიანი“. კომპოზიტორი დათანხმდა მირიანაშვილის შემოთავაზებას. ოპერაზე მუშაობის დროს ფალიაშვილს თავს დიდი ტრაგედია დაატყდა. მას გარდაეცვალა ერთადერთი შვილი. ამ მოულოდნელი უბედურების გამო, კომპოზიტორმა შეწყვიტა შემოქმედებითი მუშაობა, ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, როცა დაასრულა „აბესალომ და ეთერიზე“ მუშაობა, კლავირს წააწერა: „ძეგლად დედისერთა ყრმის - ირაკლის უმანკო სულისა, მამამისის, ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილისაგან“.

ოპერაში – „აბესალომ და ეთერი“, სიყვარული, როგორც ძირითადი თემა, წარმოადგენს ძალას, რომელიც დაძლევს სოციალურ უთანასწორობას და გადალახავს თვით სიკვდილსაც. ოპერაში - „აბესალომ და ეთერი“, ფალიაშვილის დამსახურებაა ქართული და ევროპული მუსიკის შესანიშნავი სინთეზი. ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ამაღლებული პოემაა სიყვარულისა და სიკვდილისა, რომელშიც კომპოზიტორმა მონუმენტურ ფორმებში გადაწყვიტა მუსიკალური ტრაგედია.

ოპერის პრემიერამ, რომელიც შედგა 1919 წლის 21 თებერვალს, შეუდარებელი წარმატებით ჩაიარა. პრემიერა ნამდვილი დღესასწაული იყო. სპექტაკლს თავად კომპოზიტორი დირიჟორობდა. მიუხედავად უდიდესი წარმატებისა, ოპერას ბევრი კრიტიკოსიც გამოუჩნდა, მაგრამ ფალიაშვილი მშვიდად და თავმდაბლობით შეხვდა წინააღმდეგობებსაც, რაც მისი ხასიათის ნაწილი იყო. კრიტიკოსთა აზრის გათვალისწინებით, ფალიაშვილმა ხუთ მოქმედებიანი ოპერა შეამცირა და გახადა ოთხ მოქმედებიანი. თუმცა, მან კატეგორიული უარი განაცხადა ოპერიდან ამოეღო ან შეემოკლებინა სიმღერა „ჩაკრულო“, რომელიც ქართული სამუსიკო ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშია.

1924 წელს, როდესაც „აბესალომის“ როლის შემსრულებელი, ვანო სარაჯიშვილი, მოულოდნელად გულის შეტევით გარდაიცვალა, რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის იდეით, დაკრძალვიდან რამდენიმე დღეში ოპერის თეატრში, სარაჯიშვილის საპატივცემულოდ

დაიდგა „აბესალომ და ეთერი“. აბესალომის პარტია შეასრულა მუსიკალურმა ინსტრუმენტმა – ჩელომ, „აბესალომის“ ნაცვლად კი, ოპერის თეატრის სცენაზე, შუქი „დადიოდა“, რამაც მაყურებლზე თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა.

ზაქარია ფალიაშვილის მეორე ოპერაა „დაისი“, რომელმაც დასაბამი მისცა ქართული საოპერო ხელოვნების ახალ მიმართულებას. სიუჟეტი აღებულია რეალური სინამდვილიდან. მოქმედება მიმდინარეობს XVIII საუკუნის II ნახევარში. ოპერაში ერთმანეთს ერწყმის გმირულ-პატრიოტული და სატრფიალო მოტივები, მაგრამ განსაკუთრებით ხაზგასმულია გმირთა პირადი დრამა. ოპერაში სამშობლოს სიყვარული უძლიერესია, სამშობლო უზენაესია და საჭიროების შემთხვევაში მთელი ერი ერთიანდება მის დასაცავად. მაშინ, როდესაც სამშობლოს სჭირდება, პირადი გრძნობები უკანა პლანზე გადადის. ოპერა მთავრდება განთაიდის თემით. სიყვარულის ტრაგიკულ დასასრულს მაჟორული აკორდები ამთავრებს, რაც აღიქმება, ცხოვრებისეული საწყისის დამკვიდრებად.

ოპერაში სიმღერა „დამისხი, დამალევინე ეს ღვინო ოხერტიალი“, შეიძლება ჩაითვალოს ერთგავარ მინიშნებად, როგორც ვაზის ქვეყნის სიმბოლო. საინტერესოა კონტრასტული დაპირისპირებები მოქმედ გმირთა მუსიკალურ დახასიათებებში. მაგალითად, მეოცნებე მაროსა და უდარდელი ნანოს სახით, ფიცხი კიაზოსა და რომანტიკული მალხაზის სახით. ოპერა გამოირჩევა საგუნდო ნომრების აკადემიურობით, რაც მიუთითებს ქართველი ხალხის მაღალ მუსიკალურ კულტურას. ოპერა „დაისში“ გამოირჩევა საცეკვაო რიტმები არა მხოლოდ ქორეოგრაფიულ ნომრებში, არამედ სხვადასხვა ეპიზოდებში, როგორიცაა საფერხულო სიმღერა „ცანგალა და გოგონა“.

ოპერა გამოირჩევა მრავალფეროვანი მუსიკალური ენით. ოპერის სიუჟეტიდან გამომდინარე, კომპოზიტორი იყენებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მუსიკალურ ფოლკლორულ ნიმუშებს.

ოპერის პრემიერა შედგა 1923 წელს. ოპერის ლიბრეტო „ორთა მიჯნური“ ვალერიან გუნიას ეკუთვნის. ოპერას დიდი წარმატება ხვდა წილად, რამაც საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია. ოპერის უვერტიურა (შესავალი) ქართული მუსიკალური ხელოვნების გამორჩეული ნიმუშია.

„დაისი“ დრამატურგიულად კარგად შეკრული ოპერაა, გამორჩეული ეფექტური საგუნდო სცენებით, შესანიშნავი უვერტიურით... „დაისი“ ქართული საოპერო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია.

ფალიაშვილის მესამე ოპერაა „ლატავრა“, რომელსაც საფუძვლად უდევს სანდრო შანშიაშვილის ერთსახელიანი დრამა. ოპერის დაწერა კომპოზიტორმა 1927 წელს, აბასთუმანში ყოფნის დროს დაასრულა. როგორც მუზეუმში არსებული მასალებიდან ირკვევა, ფალიაშვილს ოპერის შექმნისკენ უბიძგა რუსთაველის თეატრში ნანახმა რეჟისორ სანდრო ახმეტელის სპექტაკლ „ლატავრას“ შთაბეჭდილებამ, რომელშიც ლატავრას როლს გენიალური ვერიკო ანჯაფარიძე თამაშობდა. სპექტაკლის კომპოზიტორი იყო თამარ ვახვახიშვილი. რუსთაველის თეატრში პრემიერა 1924 წელს, 30 ოქტომბერს შემდგარა. ამის შემდეგ, ზაქარია ფალიაშვილმა სანდრო შანშიაშვილს ოპერის ლიბრეტოს დაწერა სთხოვა.

ახალი ოპერის – „ლატავრას“ პრემიერაზე, ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერისა“ და „დაისისგან“ განებივრებული საზოგადოების მოლოდინი დიდი იყო. ოპერა „ლატავრას“ პრემიერა შედგა 1928 წელს, რომელსაც დირიჟორობდა ზაქარიას ძმა – ივანე ფალიაშვილი. საზოგადოების ერთმა ნაწილმა ოპერა დადებითად შეაფასა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ფალიაშვილმა მესამე ოპერით ქართული მუსიკის ისტორიაში ღრმა კვალი დატოვა. „აბესალომ

და ეთერისა“ და „დაისისგან“ განსხვავებით, „ლატავრას“ ღირსება სტილის ნაირსხვაობაშია, რომელიც ნაკარნახევია „სიუჟეტისეული ამოცანებით და ავტორის მიერ მოცემული ჩაღრმავებით“ – ასე აღნიშნავდა საზოგადოების გარკვეული ნაწილი.

„ლატავრა“ შესანიშნავი ოპერაა, მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით ისეთი სრულყოფილი არ არის, როგორც „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“, თუმცა ოპერაში არის გამორჩეული ნომრები, მაგალითად, როგორიცაა „ინკუბუსის არია“. აღნიშნული არია ოპერის შექმნიდან 90 წლისადმი მიძღვნილ გამოფენაზე წარმატებით შეასრულა ოპერის მომღერალმა ელდარ გეწაძემ. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად აზრობრივი და მუსიკალური ღირებულებებისა, „ლატავრამ“ საოპერო სცენაზე ვერ დაიმკვიდრა სათანადო ადგილი, თუმცა, ის ქართული მუსიკალური ხელოვნების შემდგომ განვითარებაში მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს.

1925 წელს აღინიშნა ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედების 30 წლისთავი.

გენიალური ზაქარია ფალიაშვილის პატივსაგებად, მისი 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით, იუნესკომ 2021 წელი, ფალიაშვილის წლად გამოაცხადა.

ლიტერატურა:

1. დონაძე ლ., ჩიჯავაძე ო., ჩხიკვაძე გ. (1990): ქართული მუსიკის ისტორია. გამომცემლობა „განათლება“. თბილისი.
2. თხილავა მ. (2018): საგანმანათლებლო პროცესის მუსიკალურ-მეთოდური უზრუნველყოფა. აწსუ გამომცემლობა. ქუთაისი.
3. ღონღაძე დ. (1998): ქართული მუსიკის ლიტერატურა. გამომცემლობა „განათლება“. თბილისი.
4. ხუჭუა პ. (1972): ზაქარია ფალიაშვილი 1871-1971. გამომცემლობა „საქართველოს მუსფონდი“. თბილისი.

Magda Tkhilava
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

Pedagogical activity of Zakaria Paliashvili and compositional creativity

Abstract

Zakaria Paliashvili is the greatest and outstanding figure in the history of Georgian music, whose work is based on Georgian musical folklore. He is considered the founder of Georgian classical opera. Paliashvili is the author of three different types of opera: Monumental opera-tragedy - "Absalom and Ether", lyrical-dramatic opera - "Dais", heroic-patriotic opera - "Latavra".

Zakaria Paliashvili perfectly combined his compositional work with successful expedition trips, public activities, and engaged in active teaching, performing and creative work. He was a teacher in Georgian gymnasium and music school. Paliashvili was a successful professor and director of the Tbilisi Conservatory, who trained a whole host of talented musicians.

Zacharias taught church hymns and arranged them in four-tone arrangements. He sang hymns for a six-part choir.

In connection with the 150th anniversary of Paliashvili, UNESCO announced 2021 as the year of Paliashvili.